სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2015 წლის 17 აგვისტოს №13 ბრძანება

https://procurement.gov.ge/files/showfiles?id=7b685c17-1e0a-47f7-b324-869bbdfd5e8a

გამარტივებული შესყიდვის კრიტერიუმები და ჩატარების წესი

ეს წესი შემუშავებულია საქართველოს „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ კანონზე დაყრდნობით და განსაზღვრავს:

- როდის შეიძლება სახელმწიფო შესყიდვა განხორციელდეს გამარტივებული შესყიდვით;
- როგორ მიიღება და თანხმდება შესაბამისი გადაწყვეტილება სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოსთან;
- როგორ ქვეყნდება ინფორმაცია სისტემის SMP მოდულში;
- და რა წესით ფორმდება გამარტივებული შესყიდვის ხელშეკრულება.

შემსყიდველ ორგანიზაციას შეუძლია გამარტივებული შესყიდვის გამოყენება მხოლოდ კანონით ან ამ წესით გათვალისწინებულ შემთხვევებში, დადგენილი პროცედურების დაცვით.

გამარტივებული შესყიდვის საფუძვლები, რომლებიც საჭიროებს სააგენტოს თანხმობას

გამარტივებული შესყიდვა შეიძლება განხორციელდეს, როცა არსებობს შემდეგი საფუძვლები:

ა) შესყიდვის ობიექტი – საქონელი, მომსახურება ან სამუშაო – შეიძლება განხორციელდეს მხოლოდ ერთი პირის მიერ, რომელსაც აქვს **ექსკლუზიური უფლება;**

ბ) არსებობს **გადაუდებელი აუცილებლობა,** როცა შესყიდვის გადადება შეუძლებელია;

გ) შესყიდვა საჭიროა იმავე მიმწოდებლისგან, რათა თავიდან იქნას აცილებული უკვე შეძენილი ობიექტის **ხარისხის გაუარესება** ან უზრუნველყოს მისი შემდგომი ექსპლუატაცია;

დ) შესყიდვა საჭიროა **სახელმწიფოებრივი ან საზოგადოებრივი მნიშვნელობის ღონისძიების** დროულად და შეუფერხებლად ჩასატარებლად, როცა **ვადები შეზღუდულია.**

სახელმწიფო შესყიდვების სფეროში მოქმედი ევროკავშირის დირექტივებით დადგენილი მონეტარული ზღვრები (2024-2025 წლებში):

- ერთგვაროვანი **საქონლისა და მომსახურების** შემთხვევაში – 143 000 ევროს ექვივალენტი ლარში, ოფიციალური გაცვლითი კურსით შესყიდვის გამოცხადების ან გამოქვეყნების დღისთვის;
- ერთგვაროვანი **სამუშაოს** შემთხვევაში – 5 538 000 ევროს ექვივალენტი ლარში, ოფიციალური გაცვლითი კურსით შესყიდვის გამოცხადების ან გამოქვეყნების დღისთვის.

სახელმწიფო შესყიდვების სფეროში მოქმედი ევროკავშირის დირექტივებით დადგენილი მონეტარული ზღვრები (2026-2027 წლებში):

- ერთგვაროვანი **საქონლისა და მომსახურების** შემთხვევაში – 140 000 ევროს ექვივალენტი ლარში, ოფიციალური გაცვლითი კურსით შესყიდვის გამოცხადების ან გამოქვეყნების დღისთვის;
- ერთგვაროვანი **სამუშაოს** შემთხვევაში – 5 404 000 ევროს ექვივალენტი ლარში, ოფიციალური გაცვლითი კურსით შესყიდვის გამოცხადების ან გამოქვეყნების დღისთვის.

2. სისტემა უზრუნველყოფს სავარაუდო ღირებულებისა და გამარტივებული შესყიდვის ღირებულების კონვერტაციას საქართველოს ეროვნული ბანკის ოფიციალური გაცვლითი კურსის შესაბამისად.
3. მონეტარული ზღვრები შესაძლოა შეიცვალოს ევროკავშირის დირექტივების შესაბამისად (გთხოვთ, იხილოთ procurement.gov.ge ვებპორტალის შესაბამის რუბრიკაში).

გამარტივებული შესყიდვის კრიტერიუმები

სახელმწიფო შესყიდვის გამარტივებული შესყიდვით განხორციელების გადაწყვეტილების მიღებისას, შემსყიდველმა ორგანიზაციამ უნდა იხელმძღვანელოს ბრძანებით დადგენილი კრიტერიუმებით. შემსყიდველი ვალდებულია დაასაბუთოს, რომ მიღებული გადაწყვეტილება სრულად შეესაბამება აღნიშნულ კრიტერიუმებს.

თუ გამარტივებული შესყიდვის ღირებულება შეადგენს ან აღემატება **ევროკავშირის დირექტივებით დადგენილ მონეტარულ საზღვრებს**, შემსყიდველმა უნდა უზრუნველყოს:

- გადაწყვეტილების **გამოქვეყნება სისტემაში** (გამოქვეყნების/შეთანხმების მოდულის გამოყენებით);
- გადაწყვეტილებაში მიეთითება:
    - გამარტივებული შესყიდვის ღირებულება;
    - ინფორმაცია გამარტივებული შესყიდვის საფუძვლის შესახებ.

ექსკლუზიური უფლება (მუხლი 3, პუნქტი „ა“)

საქონლის მიწოდება, მომსახურების გაწევა ან სამშენებლო სამუშაოს შესრულება უნდა იყოს მხოლოდ ერთი პირის ექსკლუზიური უფლება და არ უნდა არსებობდეს მიზანშეწონილი ალტერნატივა შესყიდვის ობიექტის ჩასანაცვლებლად.

გამარტივებული შესყიდვის განხორციელების შემთხვევაში, როცა საფუძველი არის ექსკლუზიური უფლება:

- SMP მოდულში უნდა აიტვირთოს ექსკლუზიური უფლებამოსილების დამადასტურებელი დოკუმენტი;
- ექსკლუზიური უფლებამოსილების დამადასტურებელი დოკუმენტი უნდა გაიცეს მომართვის წარდგენამდე, არაუგვიანეს 30 დღის ვადით, გარდა შემთხვევისა, როცა დოკუმენტი გაცემულია კონკრეტული ვადით და ვადა ჯერ არ ამოწურულა.
- შემსყიდველი ორგანიზაცია ვალდებულია დასაბუთებული გადაწყვეტილება და ექსკლუზიური უფლებამოსილების დამადასტურებელი დოკუმენტი ატვირთოს სისტემაში მომართვის წარდგენისას.

გადაუდებელი აუცილებლობის კრიტერიუმები (მუხლი 3, პუნქტი „ბ“)

გადაუდებელი აუცილებლობა არის ვითარება, რომელიც:

- რეალურ საფრთხეს უქმნის შემსყიდველი ორგანიზაციის ფუნქციონირებას;
- ვერ იქნებოდა წინასწარ განსაზღვრული;
- არ არის გამოწვეული ორგანიზაციის ქმედებით;
- ან შეიძლება მნიშვნელოვანი ზიანი მიაყენოს საქართველოს სახელმწიფო ან/და საზოგადოებრივ ინტერესებს ან ორგანიზაციის ქონებას.

ამგვარ შემთხვევაში შესყიდვა შესაძლებელია მხოლოდ მაშინ, თუ:

- პრობლემის აღმოფხვრა შეუძლებელია ელექტრონული ტენდერის ან კონკურსის გზით;
- პრობლემის აღმოფხვრა შეუძლებელია ორგანიზაციის ხელთ არსებული რესურსებით;
- შესყიდვა ემსახურება მხოლოდ გადაუდებელი პრობლემის აღმოფხვრას;
- შესასყიდი საქონლის, მომსახურების ან სამუშაოს რაოდენობა და ვადა არ აღემატება კრიტიკულ საჭიროებებს;
- ორგანიზაციამ მაქსიმალურად აარიდოს თავი ქმედებებს, რომლებიც ხელოვნურად ქმნიან გადაუდებელი შესყიდვის საჭიროებას.

ხარისხის გაუარესების თავიდან აცილება (მუხლი 3, პუნქტი „გ“)

მიმწოდებლისაგან შესყიდული ობიექტის ხარისხის გაუარესების თავიდან აცილების ან/და მისი შემდგომი ექსპლუატაციის უზრუნველყოფის მიზნით აუცილებელია შესყიდვა განხორციელდეს იმავე მიმწოდებლისაგან ან იმავე მიმწოდებელთან დადებული ხელშეკრულებით გათვალისწინებული ქვეკონტრაქტორისაგან;

- გათვალისწინებულ შემთხვევაში, შესყიდვის ობიექტის ღირებულება არ უნდა აღემატებოდეს თავდაპირველად შესყიდული ობიექტის ღირებულებას.

სახელმწიფოებრივი და საზოგადოებრივი მნიშვნელობის ღონისძიება (მუხლი 3, პუნქტი „დ“)

ჩასატარებელი ღონისძიება უნდა ემსახურებოდეს ქვეყნისთვის მნიშვნელოვან პოლიტიკურ, თავდაცვით, ეკონომიკურ, სოციალურ, კულტურულ, საგანმანათლებლო ან სხვა საჯარო მიზნების მიღწევას. ამასთან, აუცილებელია, რომ შეზღუდული დროის გამო, ღონისძიების ჩატარებასთან დაკავშირებული შესყიდვის ობიექტების შესყიდვა ელექტრონული ტენდერის ან კონკურსის პროცედურების მეშვეობით იწვევდეს ამ ღონისძიების არსებითი შეფერხებით ჩატარებას, ჩაშლას ან/და ხელს უშლიდეს მის უწყვეტად ჩატარებას. შემსყიდველმა ორგანიზაციამ მაქსიმალურად უნდა აარიდოს თავი ისეთ ქმედებას, რომელიც ხელოვნურად იწვევს ღონისძიების არსებითი შეფერხებით ჩატარებას, ჩაშლას ან/და მისი უწყვეტად ჩატარების ხელშეშლას.

„დ“ ქვეპუნქტის საფუძველზე, სახელმწიფოებრივი და საზოგადოებრივი მნიშვნელობის ღონისძიების შეზღუდულ ვადებში შეუფერხებლად ჩატარების მიზნით შესყიდვების განხორციელებას, შემსყიდველი ორგანიზაციის მომართვის საფუძველზე, სააგენტოს თანხმობის შემდეგ, ადგენს:

- ა) საქართველოს მთავრობა, გარდა ამ პუნქტის „ბ“ და „გ“ ქვეპუნქტებით განსაზღვრული შემთხვევებისა;
- ბ) ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობა – ავტონომიური რესპუბლიკების რესპუბლიკური ბიუჯეტების ან/და ავტონომიური რესპუბლიკების ადმინისტრაციულ საზღვრებში არსებული თვითმმართველი ერთეულების ბიუჯეტების სახსრებით შესყიდვის განხორციელებისას, აგრეთვე მათი ბიუჯეტების დაფინანსებაზე მყოფი ორგანიზაციებისა და დაწესებულებების სხვა სახსრებით შესყიდვის განხორციელებისას;
- გ) საქართველოს ეროვნული ბანკის საბჭო - საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ შესყიდვის განხორციელებისას.

მომართვის წარდგენისას SMP მოდულში ატვირთული უნდა იქნას **საქართველოს მთავრობის**, **ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის** ან **საქართველოს ეროვნული ბანკის საბჭოს** სამართლებრივი აქტის პროექტი.

სააგენტოს მიერ გადაწყვეტილების მიღება:

- თუ გამარტივებული შესყიდვის ღირებულება სახელმწიფო შესყიდვების სფეროში მოქმედი ევროკავშირის დირექტივებით დადგენილ მონეტარულ ზღვრებზე ნაკლებია, სააგენტო იხილავს, აკმაყოფილებს თუ არა წარდგენილი მომართვა დადგენილ მოთხოვნებს;
- შემსყიდველი ორგანიზაციის მომართვიდან არაუმეტეს 2 და არაუგვიანეს 3 სამუშაო დღის ვადაში მიიღება გადაწყვეტილება თანხმობის გაცემის ან უარის შესახებ;
- სააგენტოს მიერ გადაწყვეტილების მიღებამდე, შემსყიდველ ორგანიზაციას უფლება აქვს გაიხმოს მომართვა; ასეთ შემთხვევაში, მომართვას ენიჭება სტატუსი: „გახმობილია“.

📌 **გამარტივებული შესყიდვის გადაწყვეტილების დაზუსტება**

სააგენტოს შეუძლია მოსთხოვოს შემსყიდველ ორგანიზაციას მომართვის ან გამარტივებული შესყიდვის გადაწყვეტილების დაზუსტება, თუ:

- არ შეესაბამება წესსა და დანართებს;
- არ შეიცავს გადაწყვეტილების მიღებისთვის აუცილებელ ინფორმაციას ან დოკუმენტს.
- მომართვას/გადაწყვეტილებას, რომელსაც საჭირო დაზუსტება სჭირდება, ენიჭება სტატუსი „დასაზუსტებელია“.

- შემსყიდველს ვადა აქვს 1 სამუშაო დღე დაზუსტებისთვის.
- ამ პერიოდში სააგენტოს გადაწყვეტილების მიღების ვადა შეჩერდება.

- თუ შემსყიდველი ვერ ან არასრულყოფილად დააზუსტებს → სტატუსი „განუხილველი“.
- თუ სრულყოფილად დააზუსტებს → სტატუსი „დაზუსტებულია“.

- სააგენტო იღებს გადაწყვეტილებას დაზუსტებული მომართვის/გამარტივებული შესყიდვის გადაწყვეტილების წარდგენის შემდეგ, არაუგვიანეს მომდევნო სამუშაო დღისა.
- თუ სააგენტო უარს აცხადებს თანხმობის გაცემაზე, შემსყიდველ ორგანიზაციას: არ აქვს უფლება დადოს ხელშეკრულება გამარტივებული შესყიდვის საშუალებით; ვალდებულია შესყიდვა განახორციელოს კანონითა და შესაბამისი კანონქვემდებარე ნორმატიული აქტით დადგენილი წესით.

ცვლილება სახელმწიფო შესყიდვის გამარტივებული შესყიდვით განხორციელების შესახებ მიღებულ გადაწყვეტილებაში

სააგენტოს თანხმობის მიღების შემდეგ, გამარტივებული შესყიდვის შესახებ სათანადო გადაწყვეტილებაში ცვლილების შეტანა უნდა შეთანხმდეს სააგენტოსთან:

სააგენტოსთან შეთანხმებას ექვემდებარება ცვლილება, რომლის შედეგად იზრდება:

- ხელშეკრულების შესრულების ვადა ან/და
- ემატება შესყიდვის ობიექტი (კლასიფიკატორი).

სააგენტოსთან შეთანხმებას არ ექვემდებარება ცვლილება, როდესაც:

ა) მხოლოდ ერთხელ, არაუმეტეს თოთხმეტი დღით იზრდება ხელშეკრულების შესრულების თავდაპირველი ვადა;
ბ) შესყიდვის ობიექტის (კლასიფიკატორის) შეუცვლელად იზრდება შესყიდვის (ხელშეკრულების) ღირებულება;
გ) მცირდება შესყიდვის ობიექტის რაოდენობა/მოცულობა.

<u>სასარგებლო მასალა:</u>

https://procurement.gov.ge/files/showfiles?id=60bb9081-a3af-4bb1-81d5-f2389a1bb402

https://procurement.gov.ge/files/showfiles?id=7b685c17-1e0a-47f7-b324-869bbdfd5e8a

https://procurement.gov.ge/files/showfiles?id=9ddb7b9b-a26f-4c84-94e5-a501e6be2115